

შპს „ჯი ემ ჯი“

ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის
დასრულებული წლისათვის

შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება-----	3
სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება-----	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება -----	6
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება -----	7

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია-----	9
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები-----	9
3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა-----	10
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები-----	17
5. ფული და ფულის ექვივალენტები-----	18
6. სავაჭრო მოთხოვნები-----	18
7. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი-----	19
8. მარაგები-----	19
9. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები-----	20
10. სხვა გრძელვადიანი აქტივები-----	20
11. სავაჭრო ვალდებულებები-----	21
12. გრძელვადიანი სასესო ვალდებულებები-----	21
13. ამონაგები-----	22
14. ადმინისტრაციული ხარჯი-----	23
15. მიწოდებისა და მარკეტინგის დანახარჯები-----	23
16. სხვა ხარჯები-----	23
17. ფინანსური შემოსავალი-----	24
18. ფინანსური ხარჯები-----	25
19. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი ხარჯი-----	25
20. მოგების გადასახადი-----	26
21. წმინდა სავალუტო მოგება ზარალი-----	26
22. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა-----	26

ფორმა N 1 კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

მპს ჯი ემ ჯი

თარიღი: 31/12/2020

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

		საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი
აქტივები	შენიშვნ ები	2,020	2,019
ფული და ფულის ეკვივალენტები	1	1,197,513	469,891
სავაჭრო მოთხოვნები	2	1,498,473	1,225,351
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	3	493,965	25,998
მარაგები	4	1,028,055	845,323
- მზა პროდუქცია	-	1,028,055	845,323
- სხვა	-	-	-
საინვესტიციო ქონება	-	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	-	-	-
ბიოლოგიური აქტივები	-	-	-
- თვითღირებულების მოდელით		-	-
- გადაფასების მოდელით		-	-
გუდვილი		-	-

სხვა არამატერიალური აქტივები	<u>5</u>	1,030	2,624
ძირითადი საშუალებები		1,327,125	1,366,265
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	<u>6</u>	-	166,876
სულ აქტივები		5,546,160	4,102,326
		-	
ვალდებულებები		-	
ფინანსური ოჯარის ვალდებულება		-	
სავაჭრო ვალდებულებები	7	(223,444)	(9,661)
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		-	-
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
გამოუმუშავებელი შემოსავალი		-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		-	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	8	-	(2,452,756)
მიღებული გრანტები		-	
სხვა ვალდებულებები		(0)	
სულ ვალდებულებები		(223,445)	(2,462,417)
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		-	-
საემისიო შემოსავალი		-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები		-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		5,322,715	(1,639,909)
გადაფასების რეზერვი		-	-
სხვა რეზერვები		-	-
სულ საკუთარი კაპიტალი		5,322,715	(1,639,909)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		5,546,160	(4,102,326)

დირექტორი: გოჩა როსტიაშვილი

ფორმა N 2 - სრული შემოსავლის ანგარიშგება

შპს ჯი ემ ჯი

თარიღი:

31-12-20

სრული შემოსავლის ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	notes	44,196	31-Dec-19
ამონაგები	9	803,988	1,299,977
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		(490,254)	(876,577)
საერთო მოგება		313,734	423,400
სხვა შემოსავალი	10	4,438,717	-
ადმინისტრაციული ხარჯი	11	(271,746)	(272,726)
მიწოდების და მარკეტინგის ხარჯები	12	(459)	(1,706)
სხვა შემოსულებები/(ზარალი)- წმინდა		-	-
სხვა ხარჯები	13	(6,193)	(7,582)
საოპერაციო მოგება		4,474,053	141,386
ფინანსური შემოსავალი	14	40,722	14,367
ფინანსური ხარჯები	15	(86,176)	(223,631)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	16	44,405	19,474
წმინდა სავალუტო მოგება/ზარალი	17	200,514	(152,997)
მოგება დაბეგვრამდე		4,673,519	(201,401)
მოგების გადასახადი	18	(148,607)	
წმინა მოგება		4,524,912	(201,401)

სხვა სრული შემოსავალი:

შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან,
გადასახადების გამოკლებით

მთლიანი სრული შემოსავალი	4,524,912	(201,401)
---------------------------------	-----------	-----------

დირექტორი: გოჩა როსტიაშვილი

ფორმა N3 - საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.

შპს ჯი ემ ჯი

თარიღი: 31-12-2020 წელი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 31 დეკემბერი			
	-	1,639,908	1,639,908
წმინა მოგება		4,524,912	4,524,912
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	4,524,912	4,524,912
			-
გაცემული დივიდენდი		(842,105)	(842,105)
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	-		
2020 წლის 31 დეკემბერი		5,322,715	5,322,715

დირექტორი:

გოჩა როსტიაშვილი

ფორმა N4 - ულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.

"GMG." LLC

შპს "ჯი ემ ჯი"

Date: 31/12/2020

თარიღი: 31/12/2020

Statements of Cash flows (SOCF)

ფულის მოძრაობის ანგარიშგება

(amounts are presented in Georgian lari if not otherwise stated)

(თანხები მოცემული ქართულ ლარებში)

		31-Dec-20
Cash flows from operating activities	ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	
Cash received from clients	მომხმარებლისგან მიღებული ფული	787,079
Cash received from rent	იჯარიდან მიღებული ფული	
Cash received from other sources	სხვა სახით შემოსული ფული	
Cash paid for inventory purchases	მომწოდებლებზე გადახდილი გადახდილი ფული	(1,212,518)
Cash paid for salaries	ხელფასებისთვის გადახდილი ფული	(135,525)
Cash paid for rent	იჯარაზე გადახდილი ფული	
Cash paid for Commission fee	საკომისიოს სახით გადახდილი ფული	(1,883)
Taxes paid	გადახდილი გადასახადები	(926,840)
Cash paid for other administration costs	სხვა ადმინისტრაციული ხარჯებისთვის გადახდილი ფული	
Cash paid in another way	სხვა სახით გასული ფული	
Net cash from / (used for) operating activities	წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(1,489,686)
Corporate Income tax paid	გადახდილი მოგების გადასახადი	(130,030)

Cash flows from investing activities	ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	
Cash received from sale of PP&E	ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ფული	6,994,863
Cash paid for acquisition and construction of PP&E	ძირითადი საშუალებების შესაძენად ან შესაქმენლად გადახდილი ფული	(1,558,545)
Net cash provided from investing activities	წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	5,436,318
Cash flows from financing activities	ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	
Loans received	სესხის აღება	
Loans returned	სესხის დაფარვა	(2,455,017)
Interest income	საპროცენტო შემოსავალი	58,487
Interest paid	სესხის პროცენტის გადახდა	(36,980)
dividends paid	დივიდენდის გადახდა	(800,000)
Receiving the amount of the loan issued	გაცემული სესხის დაბრუნება	159,123
Net cash provided from financing activities	წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(3,074,387)
Net increase (decrease) in cash and cash equivalents	ფულის წმინდა ზრდა (კლება)	742,214
Cash and cash equivalents at the beginning of the period	ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	469,891
Exchange rate difference	სავალუტო კურსის ეფექტი	(14,592)
Cash and cash equivalents at the end of the period	ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	1,197,513

დირექტორი: გოჩა როსტიაშვილი

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჯი ემ ჯი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2011 წლის 2 თებერვალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სსიპ საჯარო რეეტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 406043115.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ავტომობილების იმპორტი და ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაცია, ავტოტექ მომსახურება.

კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, ისნის რაიონში, ბოგდან ხმელნიცკის ქ, N 48 კორპ. N8, ბინა N66.

კომპანიის ფაქტიური მისამართია: პეტრე იბერის N20

2020 წლის 1 იანვარსა და 31 დეკემბერს კომპანიის დამფუძნებლები არიან : გოჩა როსტიაშვილი (პ/ნ 01004002100) -50 % წილის მფლობელი, გელა ბუაჩიძე (პ/ნ 01024011979) - 50% წილის მფლობელი.

კომპანიის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე პასუხისმგებელი პირი - დირექტორი : გოჩა როსტიაშვილი (პ/ნ 01004002100

2. ფინანსური ინფორმაციის მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) საფუძველზე.

კომპანიამ მსს ფასს პირველად გამოიყენა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული სარეკომენდაციო მითითების საფუძველზე, 2020 წლის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს: ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისი შესადარისი ინფორმაციით 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით; 2020 წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას შესადარისი ინფორმაციით 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით; 2020 წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას შესადარისი ინფორმაციის გარეშე ; 2020 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, შესადარისი ინფორმაციის გარეშე და შესაბამისი ახსნა განმარტებით შენიშვნებს.

მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს კომპანიას არ გაუკეთებია რაიმე სახის კორექტირება, გამომდინარე იქიდან, რომ მსს ფასს-ზე გადასვლას არ ჰქონია არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. ფუნქციონირებადობის პრინციპის დაშვებით, კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კომპანიის საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი მუხლები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის საანგარიშგებო ვალუტის

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

ფინანსურ ანგარიშებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

➤ ფინანსური ინსტრუმენტები

ტერმინების განმარტებები:

რეალური ღირებულება არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიცვალოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“. საუკეთესო რწმუნება რეალური ღირებულების დასადგენად არის ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიურია ბაზარი, სადაც მოცემული აქტივით ან ვალდებულებით ოპერაციები საკმარისად ხშირად და საკმარისი მოცულობით სრულდება, რაც ფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევა მუდმივად. იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც ივაჭრება აქტიურ ბაზარზე დგინდება შესაბამის აქტივზე ან ვალდებულებაზე დადგენილი ფასისა და რაოდენობის ნამრავლით. აღნიშნულს ადგილი აქვს მაშინაც, თუ ბაზარზე ვაჭრობის ყოველდღიური ნორმა არ არის საკმარისი, რათა მოიცვას მთლიანად გასაყიდად განთავსებული რაოდენობა და შეკვეთების რაოდენობის განთავსებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ერთეულის კვოტირებულ ფასზე.

აქტივის თვითღირებულება არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

ამორტიზებადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებული ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალ-ცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

ოპერაციის ღირებულება არის დამატებითი დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტების შესყიდვის, შექმნის ან გაყიდვის ღირებულებას. დამატებით დანახარჯებს ადგილი არ ექნება, თუ არ მოხდება ოპერაცია. ოპერაციის თვითღირებულება მოიცავს აგენტებისთვის, კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის, დილერებისთვის (თანამშრომლების ჩათვლით, რომლებიც მუშაობენ, როგორც გაყიდვის აგენტები), მარეგულირებელი ორგანოებისთვის, ფასიანი

ქალაქების ბირჟაზე გადასახდელ საკომისიოებს, მოსაკრებლებს და გადასახადებს. ოპერაციის თვითღირებულება არ მოიცავს ფასდათმობას, ფინანსურ ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს.

ცვეთადი ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი იყო აღიარებული, ნებისმიერი ძირითადი დაფარვის გამოკლებით, პლუს დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის – ჩამოწერილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. დარიცხული პროცენტი მოიცავს საწყის აღიარებაზე გადავადებულ ოპერაციის ღირებულების ცვეთას და ნებისმიერი პრემიის ან ფასდათმობის ცვეთას ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტი ხარჯი არ არის წარდგენილი ცალ-ცალკე და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის მიმდინარე ღირებულებაში.

➤ **ფინანსური აქტივები**

კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით. კომპანია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით. კომპანია ადგენს საკუთარი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ტიპს თავდაპირველი აღიარებისას.

➤ **სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები**

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

➤ **ფული და ფულის ექვივალენტები**

ფული და ფულის ექვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ექვივალენტებში.

➤ **ფინანსური აქტივების გაუფასურება**

კომპანია ანგარიშგების შედგენის თარიღით ახდენს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის შეფასებას. თუ არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ

ამორტიზებული ღირებულებით ასახული აქტივის გაუფასურებით გამოწვეული იქნება ზარალი, ზარალის მოცულობა აისახება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე მოცულობას შორის (სამომავლო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ადგილი არ ჰქონია), რომელიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ე.ი. იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც გაანგარიშებულია თავდაპირველად აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულების შემცირება შესაძლებელია, რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის აღიარება უნდა მოხდეს მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა მცირდება და შემცირება შესაძლოა ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების აღრიცხვის შემდგომ მოვლენას. ხდება წინასწარ აღიარებული გაუფასურების ზარალის კომპენსირება. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი კომპენსირება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პირობით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებულ ღირებულებას კომპენსირების დღეს.

➤ ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: ა) აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან ბ) კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს ან აწყობს გარიგებას (1) ასევე გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივის საკუთრებას ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკს და გადასცემს საკუთრებას, მაგრამ არა შენარჩუნებულ კონტროლს. კონტროლი შენარჩუნებულია, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, მიჰყიდოს აქტივი დამოუკიდებელ მესამე მხარეს ამგვარ გაყიდვის ოპერაციაზე დამატებითი შეზღუდვების არსებობის გარეშე.

➤ ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეჭებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე, საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისთვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

➤ **ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა**

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

➤ **გადაფარვა**

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

➤ **ძირითადი საშუალებები**

ა) **თავდაპირველი აღიარება და შეფასება**

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ბ) **შემდგომი ხარჯები**

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

გ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება **წრფივი ცვეთის მეთოდით**, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
შენობები	30 წელი
მანქანა დანადგარები	10-15 წელი
საოფისე ავეჯი და ინვენტარი	5-7 წელი
კომპიუტერული ტექნიკა	5 წელი
ავტომობილები	10 წელი

➤ არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ საადრიცხოვო პროგრამები (7 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

➤ მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

წარმოების პროცესში ნედლეულიდან მზა პროდუქციაზე გადასვლის ეტაპს წარმოადგენს დაუმთავრებელი წარმოება. ყოველდღიურად, კონკრეტული საქმიანობის დასრულებისას, წარმოების ყველა დანახარჯი აკუმულირდება და თავს იყრის დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშზე. წარმოების დანახარჯების მაგალითებია: ცვეთა, იჯარა შრომის ანაზღაურება, კომუნალური ხარჯები და სხვა საწარმოო ზედნადები ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

➤ დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. მიმდინარე გადასახადი ანგარიშდება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება

მოგებისგან, რომელიც წარდგენილია სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, რადგან აღნიშნული არ მოიცავს ისეთ შემოსავლებსა და ხარჯებს, რომლებიც ამ პერიოდში არ არის დასაბეგრი ან გამოსაქვითი. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

➤ შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს.

➤ ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

➤ სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

➤ საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის,

მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

➤ **ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები**

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწუმენება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას. ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან

კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

➤ **შეფასებისა და წარდგენის ვალუტა**

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2019 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
პერიოდი	დოლარი
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლობის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.
- **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

- **სასამართლო დავები** - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა. 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია მნიშვნელოვანი სასამართლო დავები.

5 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები:

1) ფული და ფულის ეკვივალენტები:

ფული და ფულის ეკვივალენტები 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

	31-12-20	31-12-19
ფული საღაროში	157,786	353,970
ფული საბანკო ანგარიშზე	1,039,726	115,920
სულ	1,197,513	469,891

2) სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები 2020 წლის 31 დეკემბრისა და
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია
შემდეგნაირად

	31-12-20	31-12-19
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	1,498,473	1,225,351
სულ	1,498,473	1,225,351

3) გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი

	31-12-20	31-12-19
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	439,556	
დარიცხული მისაღები პროცენტები		17,765
საგადასახადო ავანსები	54,409	8,231
სულ	493,965	25,996

გადახდილი ავანსები წარმოადგენს საგასახადო ორგანოებისათვის და საქონლის
მომწოდებლებისთვის გადახდილ თანხებს.

4) მარაგები

მარაგები 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის
31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია
შემდეგნაირად

მარაგები

	31-12-20	31-12-19
მარაგები მიწოდებისთვის	1,028,055	845,323
სულ	1,028,055	845,323

5) ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019
წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

ძირითადი საშუალებები
ლარში

	31-12-20	31-12-19
მიწა	874,631	683,103
შენობა-ნაგებობა	359,223	531,135
დაუმთავრებელი მშენებლობა	12,861	47,593
კომპიუტერული ტექნიკა და ოფისის აღჭურვილობა	16,780	17,383
მანქანა დანადგარები	16,020	34,751
არამატერიალური აქტივები	1,030	2,624
ავტომობილები	47,610	52,311
სულ	1,328,155	1,368,899

6) სხვა გრძელვადიანი აქტივები

სხვა გრძელვადიანი აქტივები 2020 წლის 31
დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით წარმოდგენილია
შემდეგნაირად

სხვა გრძელვადიანი აქტივები

ლარში	31-12-20	31-12-19
საწარმოს დამფუძნებელზე გაცემული სესხი	-	166,876
სულ	-	166,876

2020 წელს სრულად დაფარულ იქნა სწარმოს დამფუძნებლებზე გაცემული სესხი.

7) .სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები 2020 წლის 31
დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით წარმოდგენილია
შემდეგნაირად

ლარში	31-12-20	31-12-19
სავაჭრო ვალდებულებები	10,102	9,661
მიღებული ავანსები	213,342	
სულ	223,445	9,661

8) .გრძელვადიანი სასესო ვალდებულებები

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები
2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31
დეკემბრის მდგომარეობით
წარმოდგენილია შემდეგნაირად

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები ბანკის სესხები	31-12-20	31-12-19
	-	(2,452,756)
	-	(2,452,756)

გრძელვადიანი საბანკო სესხი დაფარულია 2020 წლის 31 დეკემბრამდე

9) ამონაგები

ამონაგები 2020 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31-12-20	31-12-19
საქონლის გაყიდვიდან	718,507.84	2,632,327
მომსახურების გაწევიდან	85,480.57	137,960
სულ	803,988	2,770,287

10) სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი 2020 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია
შემდეგნაირად:

	31-12-20	31-12-19
კომპანიის შენობა ნაგებობის რეალიზაცია	4,438,717	-
	-	-
	4,438,717	-

კომპანიამ 2020 წელს მოახდინა შენობა ნაგებობების რეალიზაცია შემოსავალი ასახულია
ნეტო თანხაში:

11) ადმინისტრაციული ხარჯი

ადმინისტრაციული ხარჯი	31-12-20	31-12-19
შრომის ანაზღაურება	172,293	191,785
საიჯარო ქირა	23,246	11,898
ცვეთა და ამორტიზაცია	47,644	51,038
მივლინების ხარჯი		
კომუნალური ხარჯი	7,558	7,631
საკურიერო მომსახურება		
ნოტარიუსის ხარჯი		
სხვა ხარჯი	21,006	10,374
სულ	271,746	272,726

12) მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები

**მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯები 2020 წლის
მდგომარეობით
წარმოდგენილია შემდეგნაირად**

	31-12-20	31-12-19
რეკლამის და მიწოდების ხარჯები	459	1,706
სულ	459	1,706

13) სხვა ხარჯი

სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები 2020 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

31-12-20

31-12-19

ქონების გადასახადი

6,193

7,582

სულ

6,193

7,582

14) ფინანსური შემოსავალი

ფინანსური შემოსავალი 2020 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

31-12-20

31-12-19

საპროცენტო შემოსავალი გაცემულ სესხებზე
საპროცენტო შემოსავალი ანაბარზე განთავსებული
თანხიდან

6,630

14,367

34,092

სულ

40,722

14,367

ფინანსური შემოსავალი წარმოადგენს გაცემულ სესხზე დარიცხულ საპროცენტო სარგებელს და ანაბარზე განთავსებულ თანხაზე დარიცხულ სარგებელს.

15) ფინანსური ხარჯები

ფინანსური ხარჯები:

	31-12-20	31-12-19
საპროცენტო ხარჯები	36,980	219,576
ბანკის საკომისიოები	49,196	4,055
სულ	86,176	223,631

16) სხვა არასაოპერაციო შემოსავალი ხარჯი

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი ხარჯი 2020 წლის და 2019 წლის მდგომარეობით
წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31-12-20	31-12-19
საგარანტიო თანხები	44,405	14,367
სულ	44,405	14,367

სხვა შემოსავალი დაკავშირებულია მომწოდებლებთან ურთეერთობის ფარგლებში
წარმოშობილ
საგარანტიო თანხებთან

17) წმინდა სავალუტო მოგება ზარალი

წმინდა სავალუტო მოგება/ზარალი 2020 წლის

მდგომარეობით

წარმოდგენილია შემდეგნაირად

	31-12-20	31-12-19
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	258,695	16,313
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(58,181)	(169,310)
სულ	200,514	(152,997)

18) მოგების გადასახადი:

კომპანიის 2020 წლის მოგების გადასახადის ხარჯი

უკავშირდება 2020 წლის

განმავლობაში გაცემულ დივიდენდის თანხას.

	31-12-20	31-12-19
მოგების დაგადასახადიოს ხარჯი	(148,607)	-
სულ	(148,607)	-

19) ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ორგანიზაციის ფინანსური მხარისთვის.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის მენეჯმენტმა დააფუძნა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ყოველ ახალ კლიენტს უკეთდება ანალიზი სანამ კომპანიის სტანდარტულ გადახდისა და მიტანის პირობებს შესთავაზებენ.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გამო. კომპანია ბალანსის შედგენის თარიღისთვის არ ელოდება რაიმე სახის დანაკარგებს ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების გამო.

საბაზრო რისკი ჩნდება იმის გამო, რომ კომპანია იყენებს ფინანსურ ინსტრუმენტებს უცხოურ ვალუტაში. არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტების მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება იქნება არამყარი საპროცენტო განაკვეთის (საპროცენტო განაკვეთის რისკი) და კურსთა შორის სხვაობის გამო.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტთან სესხებთან, ცვლადი საპროცენტო განაკვეთის გამო. კომპანიას არ აქვს რისკი, რომ საპროცენტო განაკვეთი გაიზარდოს, რადგან ყველა მიღებულ სესხზე ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი აქვს.

სესხის შემთხვევაში გადმოვიტანთ ცხრილს

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიქმნება, როდესაც იცვლება ვალუტის კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეეცმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ორგანიზაციის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნა

მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

2020 წლის დასაწყისში COVID-19 (“კორონავირუსი“) გავრცელდა მსოფლიო მასშტაბით, რამაც ნეგატიურად იმოქმედა ბიზნესზე. აღნიშნული მოვლენა საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენად ჩაითვალა. ფინანსური ინფორმაციის გამოშვების დროისთვის კომპანია სრულიად ითვალისწინებს და იცავს კორონავირუსთან დაკავშირებით გამოცხადებულ რეკომენდაციებს. კომპანიის ხელმძღვანელობა განაგრძნობს COVID-19-ის შესაძლო ზემოქმედების მონიტორინგს, რადგან მოხდეს კორონავირუსით გამოწვეული რისკების მინიმუმამდე დაყვანა.

ფორმა N 1 კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შპს ჯი ემ ჯი

თარიღი: 31/12/2020

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

		საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი
აქტივები	შენიშვნე ბი	2,020	2,019
ფული და ფულის ეკვივალენტები	<u>1</u>	1,197,513	469,891
სავაჭრო მოთხოვნები	<u>2</u>	1,498,473	1,225,351
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	<u>3</u>	493,965	25,998
მარაგები	<u>4</u>	1,028,055	845,323
- მზა პროდუქცია	-	1,028,055	845,323
- სხვა	-	-	-
საინვესტიციო ქონება	-	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	-	-	-
ბიოლოგიური აქტივები	-	-	-
- თვითღირებულების მოდელით		-	-
- გადაფასების მოდელით		-	-
გუდვილი		-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	<u>5</u>	1,030	2,624
ძირითადი საშუალებები		1,327,125	1,366,265
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	<u>6</u>	-	166,876
სულ აქტივები		5,546,160	4,102,326
		-	
ვალდებულებები		-	
ფინანსური იჯარის ვალდებულება		-	
სავაჭრო ვალდებულებები	7	(223,444)	(9,661)
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		-	-

საგადასახადო ვალდებულებები		-	-
გამოუმუშავებელი შემოსავალი		-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		-	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	8	-	(2,452,756)
მიღებული გრანტები		-	
სხვა ვალდებულებები		(0)	
სულ ვალდებულებები		(223,445)	(2,462,417)
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		-	-
საემისიო შემოსავალი		-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები		-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		5,322,715	(1,639,909)
გადაფასების რეზერვი		-	-
სხვა რეზერვები		-	-
სულ საკუთარი კაპიტალი		5,322,715	(1,639,909)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		5,546,160	(4,102,326)

დირექტორი: გოჩა როსტიაშვილი



შპს ჯი ემ ჯი

თარიღი:

31-12-20

სრული შემოსავლის ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	notes	44,196	31-Dec-19
ამონაგები	9	803,988	1,299,977
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		(490,254)	(876,577)
საერთო მოგება		313,734	423,400
სხვა შემოსავალი	10	4,438,717	-
ადმინისტრაციული ხარჯი	11	(271,746)	(272,726)
მიწოდების და მარკეტინგის ხარჯები	12	(459)	(1,706)
სხვა შემოსულებები/(ზარალი)- წმინდა		-	-
სხვა ხარჯები	13	(6,193)	(7,582)
საოპერაციო მოგება		4,474,053	141,386
ფინანსური შემოსავალი	14	40,722	14,367
ფინანსური ხარჯები	15	(86,176)	(223,631)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	16	44,405	19,474
წმინდა სავალუტო მოგება/ზარალი	17	200,514	(152,997)
მოგება დაბეგვრამდე		4,673,519	(201,401)
მოგების გადასახადი	18	(148,607)	
წმინა მოგება		4,524,912	(201,401)
სხვა სრული შემოსავალი: შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით			
მთლიანი სრული შემოსავალი		4,524,912	(201,401)

დირექტორი: გოჩა როსტიაშვილი



შპს ჯი ემ ჯი

თარიღი: 31-12-2020 წელი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება საანგარიშგებო
წლისათვის, რომელიც დასრულა 2020 წლის 31 დეკემბერს

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 31 დეკემბერი			
	-	1,639,908	1,639,908
წმინა მოგება		4,524,912	4,524,912
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	4,524,912	4,524,912
			-
გაცემული დივიდენდი		(842,105)	(842,105)
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	-		
2020 წლის 31 დეკემბერი		5,322,715	5,322,715

დირექტორი:

გოჩა როსტიაშვილი



"GMG." LLC

შპს "ჯი ემ ჯი"

Date: 31/12/2020

თარიღი: 31/12/2020

Statements of Cash flows (SOCF)

ფულის მოძრაობის ანგარიშგება

(amounts are presented in Georgian lari if not otherwise stated)

(თანხები მოცემული ქართულ ლარებში)

		31-Dec-20
Cash flows from operating activities	ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	
Cash received from clients	მომხმარებლისგან მიღებული ფული	787,079
Cash received from rent	იჯარიდან მიღებული ფული	
Cash received from other sources	სხვა სახით შემოსული ფული	
Cash paid for inventory purchases	მომწოდებლებზე გადახდილი გადახდილი ფული	(1,212,518)
Cash paid for salaries	ხელფასებისთვის გადახდილი ფული	(135,525)
Cash paid for rent	იჯარაზე გადახდილი ფული	
Cash paid for Commission fee	საკომისიოს სახით გადახდილი ფული	(1,883)
Taxes paid	გადახდილი გადასახადები	(926,840)
Cash paid for other administration costs	სხვა ადმინისტრაციული ხარჯებისთვის გადახდილი ფული	
Cash paid in another way	სხვა სახით გასული ფული	
Net cash from / (used for) operating activities	წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(1,489,686)
Corporate Income tax paid	გადახდილი მოგების გადასახადი	(130,030)
Cash flows from investing activities	ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	
Cash received from sale of PP&E	ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ფული	6,994,863
Cash paid for acquisition and construction of PP&E	ძირითადი საშუალებების შესაძენად ან შესაქმნლად გადახდილი ფული	(1,558,545)
Net cash provided from investing activities	წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	5,436,318
Cash flows from financing activities	ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	
Loans received	სესხის აღება	
Loans returned	სესხის დაფარვა	(2,455,017)
Interest income	საპროცენტო შემოსავალი	58,487
Interest paid	სესხის პროცენტის გადახდა	(36,980)
dividends paid	დივიდენდის გადახდა	(800,000)
Receiving the amount of the loan issued	გაცემული სესხის დაბრუნება	159,123
Net cash provided from financing activities	წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(3,074,387)
Net increase (decrease) in cash and cash equivalents	ფულის წმინდა ზრდა (კლება)	742,214

Cash and cash equivalents at the beginning of the period	ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	469,891
Exchange rate difference	სავალუტო კურსის ეფექტი	(14,592)
Cash and cash equivalents at the end of the period	ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	1,197,513

დირექტორი: გოჩა როსტიაშვილი

